

ბ) ქვემდებარე საგნის მოქმედებასა და მდგომარეობას გამოხატავს;

გ) ქვემდებარე ჰქვია წინადადების ნევრს, რომელიც ზმნის სუბიექტურ პირთან არის შეწყობილი;

18. განსაზღვრება არის:

ა) წინადადები მთავარი ნევრი; ბ) წინადადების არამთავარი ნევრი; გ) საერთოდ არ

იგულისხმება წინადადების ნევრად;

19. წინადადების რომელი ნევრია ხაზგასმული სიტყვა?

„ქარი საშინლად გრიალებდა.“

ა) ქვემდებარე;

ბ) განსაზღვრება;

გ) უბ. დამატება;

20. წინადადების რომელი ნევრია ხაზგასმული სიტყვა?

შვილის მილოდინში დედამ გვიან დაიძინა.

ა) განსაზღვრება;

ბ) დროის გარემოება;

გ) შემასმენელი;

V სავარჯიშო: კავშირი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. კავშირი არის:

ა) ფორმაუცვლელი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;

ბ) ფორმაუცვლელი და სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი;

გ) ფორმაცვალეზადი და სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი;

22. კავშირი გამოიყენება:

ა) მხოლოდ სიტყვების დასაკავშირებლად; ბ) მხოლოდ წინადადებების დასაკავშირებლად;

გ) სიტყვებისა და წინადადებების დასაკავშირებლად;

23. რომელი არ არის მაცალკავებელი კავშირი?

ა) როგორიც;

ბ) ან-ან;

გ) ხან-ხან;

24. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კავშირი?

ა) მოიღრუბლა, წვიმა წამოვიდა. ბ) მოიღრუბლა და შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

გ) მოღრუბელის შემდეგ შხაპუნა წვიმა წამოვიდა.

25. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მაპირისპირებელი კავშირი?

ა) ან წადი, ან მოდი;

ბ) კაცის ფერი არ ედო და ბარბაცით მიდიოდა;

გ) მჭირდები, მაგრამ ნუ წამოხვალ.

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

- ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში მეფუტკრეობის არსებობის შესახებ უტყუარი ცნობა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს ეკუთვნის. საქართველოს დალაშქრისას დამარცხებული და აფხაზეთიდან გაქცეული მთავარსარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის „ანაბასისში“ წერდა, რომ კოლხეთში ბევრი ფუტკარი იყო, თაფლით დამთვრალი ჯარისკაცები ფეხზე ველარ დგებოდნენ, გიჟებს ჰგავდნენ და გონზე 2-3 დღის შემდეგ მოდიოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში შინაური მეფუტკრეობა მძლავრად იყო განვითარებული.
- ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი კოლხეთის თაფლზე წერს: „ქვეყანა კარგია და თაფლიც კარგია, გარდა თაფლისა, რომელსაც მწარე გემო აქვს. კოლხებს სამხედრო ემშაკობაც გააჩნდათ. პომპეუსის შემოსევის დროს კოლხებს გზაზე, სადაც ჯარს უნდა გაეგლო, სახვე ჯამით მათრობელა თაფლი დაუდგამთ, რომელი ჯარისკაცები გაბრუებულან, რის შემდეგაც ადვილად დაუმარცხებიან ისინი.“
- ვახუშტის დროისათვის სამეგრელოში, საეკლესიო საბუთებში, პირველი ადგილი უჭირავს სანთლის ბეგარას. აღმოსავლეთ საქართველოშიც ყველა კომლს, ვისაც ფუტკარი ჰყავდა, ნახევარი ლიტრი ცვილი ჰქონდა დაკისრებული. ამ დროს სვანეთში მეფუტკრეობა წარმოდგენილი იყო ორგანიზებულ დარგად.
- ალ. რობაქიძის მიერ მოპოვებული ნიკორწმინდის სიგელი იძლევა უტყუარ ცნობას, რომ XI საუკუნეში საქართველოში შინაური მეფუტკრეობა არსებობდა. მეფუტკრეობა ყველა ქვეყანაში სასულიერო წოდების ინტერესებს ემსახურებოდა.
- ქართველი ხალხი ფუტკარს ღვთიურ მწერად მიიჩნევდა და მას კულტიც შეუქმნა. წელიწადში ერთი დღე ფუტკარს ეკუთვნოდა. აცხოვდნენ კვერებს, სკაში ჰკიდებდნენ, სალამოს კი ბავშვებს ურიგებდნენ. მამაკაცები მხოლოდ სკებს აკეთებდნენ. აკრძალული იყო ფუტკრის ყიდვა-გაყიდვა.
- ნესად ჰქონდათ ფუტკრის შელოცვა ავი თვალისგან დასაცავად. ფუტკარს, როგორც ღვთაებრივ მწერს, ეკლესიას სწირავდნენ.

26. რა არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი?

- ა) მოგვანოდოს უტყუარი ცნობები მე-4 საუკუნის საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების შესახებ.
- ბ) ისაუბროს ქსენოფონტეს საქართველოში ლაშქრობისა და მსხვერპლის შესახებ;
- გ) ისაუბროს მე-4 საუკუნის ისტორიული ყოფის შესახებ;

27. ვინ იყო ქსენოფონტი?

- ა) ენათმეცნიერი;
- ბ) გამორჩენილი ეთნოგრაფი;
- გ) მთავარსარდალი და ისტორიკოსი;

28. რაზე საუბრობს ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი?

- ა) კოლხეთის თაფლზე;
- ბ) კოლხეთის მინაზე;
- გ) კოლხეთში მცხოვრებ ხალხზე;

29. სტრაბონის აზრით, როგორი გემო აქვს თაფლს?

- ა) მჟავე;
- ბ) მწარე;
- გ) ტკბილი;

30. ვახუშტი ბაგრატიონის დროს სამეგრელოში რის ბეგარას ადებდნენ გლეხს?

- ა) ნავთის;
- ბ) შინაური ფრინველის და ცხოველის;
- გ) სანთლის;

31. როგორი დარგი იყო სვანეთში მეფუტკრეობა?

- ა) გავრცელებული;
- ბ) ორგანიზებული;
- გ) წარმატებული;

32. რა საერთო აქვს I, II და III აბზაცს?

- ა) მესამე აბზაცი აგრძელებს I და II აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებს საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების შესახებ.
- ბ) მესამე აბზაცი აბუნდოვნებს I და II აბზაცში გამოთქმულ აზრს;
- გ) ამ აბზაცებს საერთო არაფერი აქვთ;

33. როგორ მწერად მიიჩნევდა ქართველი ხალხი ფუტკარს?

- ა) ადამიანისათვის საზიანო მწერად;
- ბ) ადამიანისათვის გამოსაყენებელ მწერად;
- გ) ღვთიურ მწერად;

34. მე-6 აბზაცის მიხედვით, რას სწირავდნენ ფუტკარს?

- ა) ოჯახს;
- ბ) ეკლესიას;
- გ) ბავშვებს;

35. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

- ა) მოგვანოდოს ინფორმაცია საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების შესახებ.
- ბ) მოგვანოდოს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.
- გ) მოგვანოდოს ინფორმაცია ფუტკრისთვის სასარგებლო მცენარეების შესახებ.

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

ბონუს შეკითხვა ავერსისგან

36. მალაკვალიფიციური ექიმების არის ის, რაც „ავერსის კლინიკას“ წამყვან კლინიკად აქცევს.

- ა. ნაკრები
- ბ) ჯგუფი
- გ) გუნდი

37. „შუშანიკის წამების“ მიხედვით, ვისი შვილია ვარსქენ პიტიახშის მეუღლე შუშანიკი?

- ა) ვარდან მამიკონიანის;
- ბ) არშუშა პიტიახშის;
- გ) ნერსე ერისთავის;

38. რომელი საუკუნის ჰაგიოგრაფიული ძეგლია „აბო თბილელის წამება“?

- ა) V საუკუნის II ნახევრის;
- ბ) VII საუკუნის;
- გ) VIII საუკუნის;

39. შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: „გულის მოგება“, ანუ

- ა) მლიქვნელობა;
- ბ) თავის შეყვარება;
- გ) კარგ პოზიციაზე ყოფნა;

40. შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: მოქართულე, ანუ

- ა) ქართული ლიტერატურის მოყვარული;
- ბ) მოსიყვარულე;
- გ) კარგი მოსაუბრე ქართულ ენაზე;